მათემატიკური თამაში

რიცხვების გამომძიებელი

კლასი: 3

მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები

თემა: რიცხვები, მოქმედებები რიცხებზე: გამრავლება და გაყოფა

კლასის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასი

საჭირო რესურსი: 100 ბარათი 1-დან 100-მდე რიცხვებით, 2 ტელეფონი.

თამაშის აღწერა:

კლასის ნახევარი იქნებიან გამომძიებლები და მეორე ნახევარი – მოწმეები. მასწავლებელი სთხოვს გამომძიებლებს, შებრუნდნენ ზურგით, დანარჩენებს აჩვენებს ფურცელზე დაწერილ რიცხვს ან დაფაზე დაწერს და დაფარავს. მასწავლებელმა უმეტესად შეარჩიოს რიცხვები, რომლებიც გვხვდება ერთნიშნა რიცხვების გამრავლების ცხრილში.

გამომძიებლებმა უნდა გამოიძიონ, რა რიცხვი დაწერა მასწავლებელმა. მათ ყველა რიცხვის ბარათი 0-დან 100-მდე ჩამწკრივებული აქვთ „ეჭვმიტანილთა დაფაზე“ (ან იატაკზე). რიცხვის თვითმხილველები ტელეფონით რიგ-რიგობით ურეკავენ გამომძიებლებს და აწვდიან ცნობებს, რათა დაეხმარონ ეჭვმიტანილთა სიიდან რიცხვის ამოღებაში. მაგალითად, „თქვენ რომ ეძებთ, ის რიცხვი ლუწია“, „მოსაძებნი რიცხვის შემადგენლობაში შედის ციფრი 2“, „მოსაძებნი რიცხვის ათეულების ციფრი მეტია ერთეულების ციფრზე“, „ამ რიცხვს (არ) დავასახელებთ, თუკი დავითვლით 5-ის ბიჯით“, „მოცემული რიცხვი (არ) იყოფა 4-ზე“, „მოსაძებნი რიცხვი (არ) გვხვდება 6-ზე გამრავლების ცხრილში“ და ა.შ.

გამომძიებლები ეჭვმიტანილთა სიიდან იღებენ ბარათებს (ან ატრიალებენ ზურგით) და ეტაპობრივად ამცირებენ საეჭვო რიცხვების რაოდენობას. ამგვარად, ბოლოს დარჩება მხოლოდ დამნაშავე რიცხვი. ამის შემდეგ იცვლება გამომძიებლებისა და თვითმხილველების შემადგენლობა და თავიდან იწყება თამაში.

მასწავლებელმა უნდა მიუთითოს მოსწავლეებს, რომ ისარგებლონ იმ მათემატიკური ტერმინებით, რომელიც ნასწავლი აქვთ.

თამაში ისე უნდა წარიმართოს, რომ გამომძიებლებსაც ჰქონდეთ საშუალება გამოიკითხონ თვითმხილველები და საჭირო კითხვები დაუსვან, მაგრამ მხოლოდ გარკვეული რაოდენობის შეკითხვების დასმის უფლება ჰქონდეთ. ასევე, თითოეულ თვითმხილველს მხოლოდ ერთი ზარის უფლება უნდა ჰქონდეს.

შემდეგ ეტაპზე, შესაძლოა შევზღუდოთ თვითმხილველების მიერ გამომძიებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის რაოდენობა. მაგალითად, მათ მხოლოდ სამი ზარის უფლება ჰქონდეთ, ხოლო გამომძიებელს – მხოლოდ ერთი მოწმისთვის ერთი კითხვის დასმის შესაძლებლობა. ამასთან, არ ჰქონდეთ უფლება მოსაძიებელი რიცხვების ციფრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ან შეკითხვის დასმა (მაგალითად, „მოსაძებნი რიცხვის შემადგენლობაში შედის ციფრი 2“, „მოსაძებნი რიცხვის ათეულების ციფრი მეტია ერთეულების ციფრზე“ და ა.შ.).